European Commission

ევროკომისიის მოსაზრებები ევროკავშირის წევრობაზე განაცხადების შესახებ

2022 წლის ნოემბერი
#StrongerTogether

2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა თავისი **მოსაზრებები ევროკავშირის წევრობაზე შეტანილი იმ განაცხადების თაობაზე**, რომლებიც საბჭოს **უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვის რესპუბლიკამ** წარუდგინეს. მოსაზრებებს საფუძვლად უდევს **სამი ძირითადი შეფასება:**

პოლიტიკური კრიტერიუმები

დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა პატივისცემისა და დაცვის უზრუნველმყოფელი ინსტიტუტების სტაბილურობა

ეკონომიკური კრიტერიუმები

ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და კონკურენციასთან და საბაზრო ძალებთან გამკლავების უნარი

წევრობის ვალდებულებების აღების უნარი

ევროკავშირის კანონმდებლობასთან (EU acquis) თანხვედრაში მოსვლის შესაძლებლობა

ევროკომისიის მოსაზრებები ასევე ითვალისწინებს უკრაინის, საქართველოს და მოლდოვის ძალისხმევას, შეასრულონ **ასოცირების ხელშეკრულებებით**, მათ შორის **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებებით (DCFTAs)** აღებული ვალდებულებები. 2014 წელს ხელმოწერილი ეს შეთანხმებები წარმოადგენს სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც უკრაინას, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირთან აახლოებს. ისინი ხელს უწყობს პოლიტიკური ურთიერთობის გაღრმავებას, ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას და საერთო ფასეულობების პატივისცემას.

რეკომენდაციები

ევროკომისია საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, მიეცეთ **უკრაინას, მოლდოვას** და **საქართველოს პერსპექტივა**, გახდნენ ევროკავშირის წევრები.

ევროკომისიის რეკომენდაციით, **უკრაინას** და **მოლდოვას** უნდა მიენიჭოთ **კანდიდატი ქვეყნის სტატუსი** იმ პირობით, რომ ისინი **გარკვეული რაოდენობის ნაბიჯებს** გადადგამენ. **საქართველოს** კი აღნიშნული სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც ის **გარკვეული რაოდენობის პრიორიტეტულ მოთხოვნებს** დააკმაყოფილებს.

გაწევრიანების პროცესის საფუძვლად კვლავ რჩება **დადგენილი კრიტერიუმები და პირობები**. ეს ნებისმიერ ქვეყანას აღნიშნულ პროცესში წინსვლის შესაძლებლობას საკუთარი დამსახურებების საფუძველზე აძლევს. თუმცა ეს, ამავე დროს, ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირისკენ გადადგმული ნაბიჯები შეიძლება უკუსვლით შეიცვალოს, თუკი ქვეყანა მოთხოვნილ პირობებს აღარ დააკმაყოფილებს.

ევროკომისია თვალ-ყურს ადევნებს იმას, თუ როგორ გადადგამს ამ **ნაბიჯებს უკრაინა** და **მოლდოვა** და როგორ დააკმაყოფილებს **პრიორიტეტებს საქართველო**. ევროკომისია ამ საკითხებზე ანგარიშს თავის რეგულარულ „გაფართოების პაკეტში“ წარადგენს.

Neighbourhood & Enlargement

2022 საკვანძო თარიღები

28 თებერვალი — **უკრაინამ** წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე

3 მარტი — **საქართველომ** და **მოლდოვამ** წარადგინეს განაცხადები ევროკავშირში გაწევრიანებაზე

7 მარტი — ევროპის კავშირის საბჭომ ევროკომისიას **უკრაინის**, **მოლდოვის** და **საქართველოს** განაცხადების თაობაზე მოსაზრებების წარდგენა დაავალა

8 აპრილი — **უკრაინამ** მიიღო კითხვარი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების შესახებ

11 აპრილი — **საქართველომ** და **მოლდოვამ** მიიღეს კითხვარი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმების შესახებ

13 აპრილი — **უკრაინამ** მიიღო კითხვარი ევროკავშირის კანონმდებლობის (EU acquis) შესახებ

17 აპრილი — **უკრაინამ** გაგზავნა პასუხები პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე

19 აპრილი — **საქართველომ** და **მოლდოვამ** მიიღეს კითხვარები ევროკავშირის კანონმდებლობის (EU acquis) შესახებ

22 აპრილი — **მოლდოვამ** გაგზავნა პასუხები პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე

2 მაისი — **საქართველომ** გაგზავნა პასუხები პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიტერიუმებზე

9 მაისი — **უკრაინამ** გაგზავნა ევროკავშირის კანონმდებლობასთან (EU acquis) დაკავშირებული პასუხები

10 მაისი — **საქართველომ** გაგზავნა ევროკავშირის კანონმდებლობასთან (EU acquis) დაკავშირებული პასუხები

12 მაისი — **მოლდოვამ** გაგზავნა ევროკავშირის კანონმდებლობასთან (EU acquis) დაკავშირებული პასუხები

17 ივნისი — ევროკომისიამ წარმოადგინა თავისი მოსაზრებები ევროკავშირის წევრობაზე წარდგენილ განაცხადებთან დაკავშირებით

24 ივნისი — ევროპულმა საბჭომ **უკრაინას**, **მოლდოვას** და **საქართველოს** ევროკავშირის წევრად გახდომის პერსპექტივა მიანიჭა. ამასთან, ევროპულმა საბჭომ **უკრაინასა** და **მოლდოვას** მისცა კანდიდატის სტატუსი, ხოლო **საქართველოს** კანდიდატის სტატუსი მიენიჭება მას მერე, რაც ის განსაზღვრულ პრიორიტეტებს დააკმაყოფილებს

რა ხდება შემდეგ?

2023 წლიდან მოყოლებული, კომისია სამი ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ ანგარიშს თავის რეგულარულ „გაფართოების პაკეტში“ წარადგენს.

© ევროკავშირი, 2022
ამ დოკუმენტის ხელმეორედ გამოყენება დასაშვებია იმ პირობით, თუ გაცემულია შესაბამისი კრედიტი და მითითებულია ნებისმიერი ცვლილება (საერთაშორისო ლიცენზია Creative Commons Attribution 4.0). იმ ელემენტების ნებისმიერი სახით გამოყენების ან კვლავწარმოებისთვის, რომელიც არ არის ევროკავშირის საკუთრება, შესაძლოა საჭირო გახდეს ნებართვის მიღება უშუალოდ შესაბამისი უფლების მფლობელებისგან. ყოველგვარი ვიზუალური მასალა — © ევროკავშირი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. პიქტოგრამები — © Flaticon.